ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 313

"20" ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ზესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა №10ა, კორპუს №3-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.23.009.032) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ზესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა №10ა, კორპუს №3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.032) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 30 სექტემბრის №20.1137.1414 განკარგულების დანართი N1-თ გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ზესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა №10ა, კორპუს №3-ში, მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.19.23.009.032) ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი N2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

დანართი №1

ქ.თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა №10ა, კორპუსი №3

№	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	სართული	ფართი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი
1	დავით ბრეგვაძე	01027041587	სართული 2, შენობა №1	76.34	01.19.23.009.032.01.539
2	ნუგზარ მელუა	01027053586	სართული 1, შენობა №1	57.84	01.19.23.009.032.01.537
3	გიორგი ვალაშვილი	01027040401	სართული 2, შენობა №1	51.37	01.19.23.009.032.01.538
4	ნათელა ფსუტური	01002021779	სართული 2, შენობა №1	100.77	01.19.23.009.032.01.540